ანოტაცია
იხტიოლის მალამო 20%
Ichthyol ointment 20%

მალამო გარეგანი და ადგილობრივი გამოყენების, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა:

მალამოს 1გ შეიცავს: იხტიოლი 200 მგ

აღწერა: შავი ან მუქი ყავისფერი მალამო, დამახასათებელი სუნით.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის აქტიურ ნივთიერებას იხტიოლს აქვს კომპლექსური შემადგენლობა, რომელიც შეიცავს არომატულ ნაერთებს და სულფონის მჟავების ამონიუმის მარილებს და გამოხატული აქვს ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიპარაზიტული, კერატოპლასტიკური და ადგილობრივი საანესთეზიო ეფექტი.

კანის დაზიანებულ უბნებზე გამოყენებისას, იხტიოლის მალამო იწვევს მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებების მსუბუქად გაღიზიანებას, რასაც მოჰყვება მათი მგრძნობელობის დაქვეითება და ქსოვილის ტროფიკის გაუმჯობესება. მალამო დადებითად მოქმედებს კანსა და კანქვეშა ქსოვილებზე, ანთების ზონაში არეგულირებს სისხლძარღვების და კაპილარების სისხლძარღვთა ტონუსს, აღადგენს სისხლის მიმოქცევას, ამცირებს ექსუდაციას, ხელს უწყობს ინფილტრატების რეზორბციას და აჩქარებს ქსოვილების რეგენერაციას.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება ცხოველებისთვის კანის დაავადებების დროს, როგორიცაა:

- ღია ჭრილობები
- ჩირქოვანი ჭრილობები
- დამწვრობები
- ეგზემა
- დერმატიტები

- ნაწიბურები, ნახეთქები

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძნობელობა პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები

არ აღინიშნება.

სამიზნე სახეობა: ყველა სახის ცხოველი

გამოყენების წესი და დოზები

მალამო გამოიყენება ადგილობრივად, უნდა შეეზილოს დაზიანებულ ზედაპირზე და მის გარშემო ქსოვილებს ან წასმა ხდება თხელ ფენად სუფთა თეთრ ქსოვილზე ან დოლბანდზე. გადახვევებს და შეზელვას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

ჭარბი დოზირება: ზედოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა

მოქმედების სპეციფიკურობა: სპეციფიკური ეფექტები პირველი გამოყენებისა და მოხსნისას დადგენილი არ არის.

ლაქტაცია და მაკეობა: პრეპარატი გამოიყენება მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ლოდინის პერიოდი: 0 დღე

სიფრთხილის ზომები: მოარიდეთ მალამოს მოხვედრა თვალებში, ცხვირში, პირში და ცურთითებზე მეძუძური და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ცხოველებისთვის.

შენახვის პირობები: პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი

გამოშვების ფორმა: 20გ პოლიეთილენის ფლაკონში და 0.5 კგ პოლიეთილენის ფლაკონში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური საშუალება, ATC vet code: QD08AX - სხვა ანტისეპტიკები და სადეზინფექციო საშუალებები.

მწარმოებელი: შპს ,,ბიოტეკსი", საქართველო, ქ.თბილისი, იუმაშევის ქ. #8